# საქართველოს რესპუბლიკა


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 13 ნოემბერი, 2015 წელი.

№214 (7859)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.


## მოსამართლე ურთმელიძის დათმობა თუ... ზეწოლა?!



**თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, დავით დვალის „რუსთავი-2“-ის დროებით მმართველად დანიშვნის თაობაზე 5 ნოემბრის განჩინების გაუქმების პარალელურად, ტელეკომპანიის ყოფილ მენეჯმენტს უფლებამოსილება აღუდგა.** ამის თაობაზე ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც თბილისის საქალაქო სასამართლო ავრცელებს.

**„სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ლევან ყარამანიშვილის, გიორგი ყარამანიშვილის და შპს „ტელეკომპანია საქართველოს“ წარმომადგენლების საჩივარი და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 ნოემბრის განჩინების კანონიერ ძალაში შესვლამდე უფლებამოსილება აღუდგინა საწარმოს წარმომადგენლობასა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირებს — ყოფილ მენეჯმენტს“,** — ნათქვამია საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

სასამართლო, ერთი მხრივ, დვალისთვის დროებითი მმართველის უფლებამოსილების გაუქმებას, მეორე მხრივ კი, ჩამორთმეული უფლებამოსილების დროებითი მენეჯმენტისთვის აღდგენის საფუძვლად ტელეკომპანიაში მოსალოდნელი ვაკუუმის თავიდან აცილებას ასახელებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 ნოემბრის განჩინების ნაწილი დავით დვალის დროებით მმართველად დანიშვნის თაობაზე გაუქმდა, ხოლო რევაზ საყევარიშვილის ნაწილში ძალაში დარჩა.

## ნიკა გვარამია: ეს განჩინება ხრიკია, ხრიკი!..



**ტელეკომპანია „რუსთავი-2-ის“ გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას განცხადებით, მოსამართლე თამაზ ურთმელიძის დღევანდელი განჩინება არის ხრიკი საკონსტიტუციო სასამართლოს შეცდომაში შესაყვანად.** როგორც გვარამიამ დღევანდელი განჩინების შეფასებისას „რუსთავი-2-ის“ ეთერში განაცხადა, ურთმელიძის ეს გადაწყვეტილება მიმართულია იმისკენ, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ არ გააუქმოს ის ნორმა, რომლის შესახებაც დღეს მსჯელობს.

**„აქ სხვა ხერხს მიმართა არა ურთმელიძემ, არამედ ვინც ამას გეგმავს და თქვა, რომ დვალი განვარიდოთ და საყევარიშვილს დროებით შეუჩერდეს უფლებამოსილება, ვიდრე სააპელაციო სასამართლო არ გამოიტანს გადაწყვეტილებას არა საქმესთან დაკავშირებით, არამედ დროებით მმართველებთან დაკავშირებით. თავისთავად ცხადია, ეს არაფერს არ ნიშნავს, რადგან ეს განჩინებაც საჩივრდება ისევ ურთმელიძესთან, რომელმაც თავისთავად შესაძლოა თუ საკონსტიტუციო სასამართლომ უარი განაცხადა ნორმის შეჩერებაზე, ზეგ უკვე სხვა განჩინება გამოიტანოს და თქვას, რომ დასაბუთებულია ქიბარ ხალვაშის მხარის შუამდგომლობა და ხელახლა შემომყავს დროებითი მმართველებიო. ზეგაც რომ არ თქვას, ამ შუამდგომლობის გასაჩივრება აჩერებს მის მოქმედებას, შესაბამისად დავბრუნდებით ისევ დროებითი მმართველობის რეჟიმში. შესაბამისად, ეს არის სრული სამართლებრივი დომხალი, რასაც ურთმელიძე და სასამართლო სისტემა აკეთებს დაკვეთით“,** — განაცხადა გვარამიამ.

ნიკა გვარამია მოუწოდებს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომ ურთმელიძის გადაწყვეტილება არის აბსოლუტური ფიქცია, რომელიც შექცევადია ხვალვე და ამაზე დაყრდნობით არ შეიძლება წინასწარ უარის თქმა გასაჩივრებული ნორმების შეჩერებაზე.

## პაატა სალია: დროებით მმართველს რევაზ საყევარიშვილს უფლებამოსილება შეუჩერდა, დავით დვალს კი, გაუუქმდა!

**მოსამართლე თამაზ ურთმელიძის გადაწყვეტილებით, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის დროებით მმართველს რევაზ საყევარიშვილს უფლებამოსილება შეუჩერდა, დავით დვალს კი გაუუქმდა.**

შესაბამისად, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე უფლებამოსილება აღუდგა ნიკა გვარამიასა და კახა დამენიას. ამის შესახებ ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის ადვოკატმა პაატა სალიამ განაცხადა, რომლის თქმითაც, მან ეს ინფორმაცია ზეპირი ფორმით სასამართლოდან შეიტყო, თუმცა განჩინებას სავარაუდოდ ხვალ დილით (ე. ი. დღეს, 13 ნოემბერს) ჩაიბარებს.



**„სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოწინააღმდეგე მხარის საჩივარი, რომელიც გუშინ იყო შეტანილი და რეზო საყევარიშვილს დროებით შეუჩერდა უფლებამოსილება, სანამ ამ საქმეზე არ იქნება საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული, ხოლო დვალს გაუუქმდა. შესაბამისად, უფლებამოსილება უნდა აღუდგეთ გენერალურ დირექტორს და ფინანსურ დირექტორს, სანამ საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული“,** — განაცხადა სალიამ.

მისი თქმით, ეს მოსამართლე თამაზ ურთმელიძის გადაწყვეტილებაა, რომლის დეტალების შესახებ ამ დროისთვის დამატებით ინფორმაციას არ ფლობს.



### გია მეფარიშვილი: სახელმწიფოებრივი კრიზისის ძალიან სერიოზულ სტადიაში შევცურდით

4



### ნანა კაკაბაძე: როდესაც უდანაშაულო ადამიანებს აწამებდნენ, თქვენი შეშფოთებული ხმები არ ისმოდა!..

3



### ნოდარ ნათაძე: პრიმაკოვის გეგმა სწორედ კონფედერაცია იყო და ეს არის უზურპაცია

5

### ნოდარ ხადური: პედაგოგებისთვის ხელფასების ზრდა მომავალი წლის აპრილიდან დაიწყება

3

### „ჩვენი ჯარისკაცები ისედაც ღარიბი ოჯახებიდან არიან, ამიტომ მათი დაჯარიმება აბსურდულია“

6

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

# თანაინვესტირების ფონდი საქართველოში 2 მილიარდი დოლარის ინვესტიციას ახორციელებს

**მიმდინარე და დაგეგმილი საინვესტიციო პროექტები განიხილეს ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.**

როგორც მთავრობის ადმინისტრაციიდან გვაცნობეს, თანაინვესტირების ფონდი საქართველოში ამ ეტაპისთვის 2 მილიარდი დოლარის ღირებულების ინვესტიციას ახორციელებს. პროექტების უმრავლესობა 2017 წლის ბოლომდე დასრულდება. ესენია ჰიდროელექტროსადგური მტკვარიჰესი; ცხენისწყლისა და ონის ჰესების კასკადი; რძის ფერმა და რძის გადამამუშავებელი საწარმო; გალერეა თბილისი; სასტუმრო და გამაჯანსაღებელი ცენტრი შეკვეთილში; პანორამა – თბილისი; სასტუმრო Axis Towers; მაღალი დონის კომპიუტერული მონაცემთა ცენტრი.

ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე განიხილეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტები. 2013-2015 წლებში სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სულ მილიარდ 800 მილიონი ლარის ღირებულების პროექტები განახორციელა. 2013-15 წლებში განხორციელდა 87 სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, რომლის ჯამურმა ღირებულებამ - 62 000 000 ლარი შეადგინა. იაფი კრედიტით ისარგებლა 16 ათასზე მეტმა ბენეფიციარმა, სახელმწიფო საპროცენტო ხარჯის თანადაფინანსებით გაიღო 68 მილიონი ლარი. 2016 წელს მოხდება 49 სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია, დაგეგმილია 5 სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია; დაფინანსებულია 139 ახალი სასოფლო სამეურნეო საწარმო,სადაც დასაქმდა 2992 ადამიანი, ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 102 მლნ აშშ დოლარს. სახელმწიფოს თანადაფინანსებით 2016 წელს დამატებით გაიხსნება 15-20 გამამუშავებელი საწარმო. 2013, 2014 და 2015 წლებში 800 ათასამდე მცირემიწიანმა ფერმერმა მიიღო 306 მილიონ ლარზე მეტი სარგებელი მიწის დამუშავებისთვის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესაძენად. ყოველწლიურად მუშავდება 210 ათას ჰექტარზე მეტი მიწის ნაკვეთი. 2016 წელს სარგებელს მიიღებს დამატებით არანაკლებ 100-150 ბენეფიციარი თანამედროვე ბაღების გაშენების ხელშეწყობისთვის. აგროდაზღვევის შედეგად 2014-2015 წლებში გაცემულია 27 ათასზე მეტი პოლისი. 189 მლნ. ლარის ღირებულების მოსავალი, დაზღვეული ჯამური ფართობი შეადგენს 23,143 ჰექტარს, სააგენტოს მიერ დაფინანსებულია 13,545,034 ლარის პრემია. ქართული ჩაის წარმოების ხელშეწყობისთვის – 2016 წლიდან დაიწყება 2-ეტაპიანი პროექტის განხორციელება. 2016 წლის განმავლობაში პლანტაციების რეაბილიტაციას მოხმარდება 3.5 მლნ. ლარი; პროექტის განხორციელებიდან 3 წლის შემდგომ ყოველწლიურად დამატებით იწარმოება 1500-2000 ტონა ქართული ჩაი.

# იაპონიასთან თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

**იაპონიაში პირველი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა და იაპონიის თავდაცვის მინისტრმა გენ ნაკატანიმ თანამშრომლობის პირველი მემორანდუმი გააფორმეს.**

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, დოკუმენტის ხელმოწერამდე იაპონიის თავდაცვის მინისტრმა ქართველ კოლეგას ოფიციალური დახვედრა მოუწყო. შესრულდა იაპონიისა და საქართველოს ჰიმნები, რომლის დასრულების შემდეგ მინისტრები ჯარისკაცებს მიესალმნენ.

იაპონიის თავდაცვის მინისტრის განცხადებით, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის იაპონიასთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით მემორანდუმი პირველად საქართველოსთან გაფორმდა. დოკუმენტის თანახმად, საქართველო და იაპონია თავდაცვის სისტემის განვითარების საკითხებზე ითანამშრომლებენ. მემორანდუმი ექსპერტთა გაცვლითი შეხვედრების ორგანიზებას, საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებში მონაწილეობას, სემინარების გამართვასა და მაღალი დონის ვიზიტების ორგანიზებას ითვალისწინებს.

მემორანდუმის გაფორმების შემდეგ მინისტრებს შორის ორმხრივი შეხვედრა შედგა. მხარეებმა გლობალური უსაფრთხოების გამოწვევები და თანამშრომლობის პერსპექტივები მიმოიხილეს. საუბარი ასევე შეეხო საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას, ამ მიმართულებით განხორციელებულ პროექტებსა და საერთაშორისო ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობას.

გენ ნაკატანიმ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს საკუთარ უწყებაში მიმდინარე რეფორმები გააცნო. მან ყურადღება გაამახვილა რეგიონულ და საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებზე. იაპონიის თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის კონკრეტულ მიმართულებებს განსაზღვრავს.



# ქართველოლოგიური კონგრესი

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში საერთაშორისო კონგრესი – „ქართველოლოგიის პრობლემები და პერსპექტივები“ აკადემიკოს როინ მეტრეველის, მეუფე დანიელისა და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გიორგი კვესიტაძის მისალმებებით გაიხსნა. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს კულტურის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი და სხვა პირები.**


ДИПЛОМ
Выдан
в том, что он Общим собранием
Академии Наук Чеченской Республики избран
ПОЧЕТНЫМ АКАДЕМИКОМ
АКАДЕМИИ НАУК
ЧЕЧЕНСКОЙ РЕСПУБЛИКИ
Президент Академии наук
Чеченской Республики
Ш.А. Гапуров
г. Грозный

ქართველოლოგიურ კონგრესზე მონაწილეობას იღებენ მსოფლიოში ცნობილი ქართველოლოგები და სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრები, მათ შორის ჩეჩნეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი შახრუდინ გაპუროვი, რომელმაც მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს გიორგი კვესიტაძეს გადასცა ჩეჩნეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრის დიპლომი.

კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები არიან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II (საპატიო თავმჯდომარე), მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი (თავმჯდომარე), საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი მეუფე დანიელი (ფაჩუაშვილი), პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე, აკადემიკოსები – გუჩა კვარაცხელია, დავით მუსხელიშვილი, ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ არაბული და სხვა.

მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობა, კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები და ჩამოსული საპატიო სტუმრები 10 ნოემბერს საქართველოს პატრიარქმა ილია II-მ საპატრიარქოს რეზიდენციაში მიიღო და დალოცა.

ჩვენი ქვეყნისთვის ფრიად მნიშვნელოვანი კონგრესი 14 ნოემბრამდე გასტანს.

**ვინ – ვის?**

# ხიდაშელი პრეზიდენტს აკრიტიკებს თუ...

**მიჭირს დასაბუთება იმის, რატომ გაუჩნდა პრეზიდენტს სურვილი მოშიმშილე ადამიანებთან მისულიყო, – ასე პასუხობს პოლიტიკურ საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველი ფიქრია ჩიხრაძე მის მიერ „პატრიოტთა ალიანსის“ მოშიმშილე წარმომადგენლების მონახულებასთან დაკავშირებით თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის განცხადებას.**



ჩიხრაძე ხაზს უსვამს, რომ გიორგი მარგველაშვილი ყველას პრეზიდენტია.

„სიმართლე გითხრათ, ცოტა მიჭირს სერიოზული კომენტარის გაკეთება და დასაბუთება იმისა, თუ რატომ გაუჩნდა პრეზიდენტს სურვილი მოშიმშილე ადამიანებთან მისულიყო – იმ მოშიმშილეებთან, რომლებიც ძირითადად საარჩევნო კანონმდებლობის თემაზე საუბრობენ. იმის მტკიცება, რომ პრეზიდენტი მიდის ყველა პოლიტიკურ ძალასთან თუკი ამის საჭიროებას ხედავს და რომ ის არის ყველას პრეზიდენტი, მე ვფიქრობ, ჩვენ დღეს არ გვჭირდება. რაც შეეხება დანარჩენ შეკითხვას, მე მგონი, არ არის რელევანტური, რომ მათზე დავიწყოთ პასუხების გაცემა. სხვათა შორის, ეს შეკითხვები თავისთავად ამტკიცებს და განამტკიცებს იმ აზრს, რომ კანონმდებლობაში, თუნდაც საარჩევნო თვალსაზრისით, ბევრი რამ შესაძლოა იყოს შესაცვლელი და ამაზე ალბათ უახლოეს ხანებში საჭიროა დიალოგის დაწყება“, – განაცხადა ფიქრიამ.

პრეზიდენტის მრჩევლის თქმით, ქვეყნის პირველი პირი ამ დიალოგის ხელშეწყობისთვისაც მზად არის.

მთავრობის ადმინისტრაციასთან „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდრები შიმშილობენ და საგარეჯოს მაჟორიტარული არჩევნების შედეგებს აპროტესტებენ და თინა ხიდაშელსა და გიგლა აგულაშვილს ადანაშაულებენ. გუშინ მოშიმშილეები პოლიტიკურ საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველმა, ფიქრია ჩიხრაძემ მოინახულა.



ამ ფაქტს თინა ხიდაშელი გამოეხმაურა და ფიქრია ჩიხრაძეს რამდენიმე კითხვით მიმართა:

ადმინისტრაციის წინ აქცია ძალიან კონკრეტული გზავნილის მატარებელია. იქ როდესაც მიდის ამხელა ადამიანი, სწორედ ამ მიზანს უნდა შეეხმიანოს. 1. ან სოლიდარულია; 2. ან უბრალოდ ჰუმანისტია; 3. ან საქმეში გარკვევა უნდა. თუ მხოლოდ მეორეა, ამ ნაწილში ვეთანხმები, მაგრამ ამასობაში გაუგებარია, თუ ამიტომ მიხვედი, „არ არის შიმშილობა სწორი“ მესიჯი გაქვს, რა შუაშია ყველაფერი დანარჩენი, რაც მოვისმინეთ?! თუ ამიტომ არ მიხვედი და პირველი ამბავია, ესეც გასაგებია, მაგრამ მაშინ გეყოს გამბედაობა და პირდაპირ თქვი, რომ არჩევნები გაყალბდა. ისიც თქვი, ვინ გააყალბა, შეუერთდი მოთხოვნას და შესაბამისად, მზად იყავი იმისთვის, რომ პასუხი გასცე კითხვებს, რომელიც ძალიან ბევრი იქნება შენი მისამართით და მოგთხოვს დასაბუთება / დადასტურებას; ხოლო თუ მესამე ამბავია, მაშინ იქ წუწუნი, საერთოდ კოდექსი მისახედია და ა.შ., ამაზე ადრეც ვამბობდით, აღარ არის საინტერესო, თუ ვერ ბედავ, სადაც მიხვედი და, რასაც ითხვენ, იმ თემაზე ერთმნიშვნელოვანი პოზიციის ქონას?.. – წერს ხიდაშელი „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე.

№214. პარასკევი, 13 ნოემბერი, 2015 წელი.

# ნანა კაკაბაძე: როდესაც უდანაშაულო ადამიანებს აწამებდნენ, თქვენი შეშფოთებული ხმები არ ისმოდა!..



**„ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის“** ხელმძღვანელმა **ნანა კაკაბაძე** ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, ევროკავშირის წარმომადგენლობასა და საქართველოში ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა საელჩოების ხელმძღვანელებს, „ფრიდომ ჰაუსსა“ და საქართველოში დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლებაზე მზრუნველ ყველა ორგანიზაციას მიმართვა გაუგზავნა, რომელშიც ხაზგასმით ვკითხულობთ:

„ყურადღებით გავეცანით შეშფოთებულ კოლექტიურ თუ ინდივიდუალურ განცხადებებს „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ „2015 წლის 5 ნოემბერს მიღებული პრევენციული ზომები წარმოშობს სერიოზულ კითხვებს საქართველოში მართლმსაჯულების დამოუკიდებლობასა და მედიის თავისუფლების ხარისხთან დაკავშირებით“.

როდესაც საქართველოში ხელისუფლების მიერ ყოველგვარი სასამართლო განხილვების გარეშე, უხეში ძალადობითა და სისხლიანი მეთოდებით იხურებოდა ტელეკომპანიები („იბერია“, „202“, „იმედი“...); როდესაც უდანაშაულო ადამიანებს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა ინტერესების გამო უკანონოდ აპატიმრებდნენ, აწამებდნენ და ასამართლებდნენ, თქვენი შეშფოთებული ხმები არ ისმოდა; თქვენი შეშფოთება არც მაშინ გაგვიგონია, როდესაც პატიმართა საშუალო რაოდენობით საქართველო ლიდერობდა მსოფლიოში; როდესაც ქვეყანაში სასამართლო გადაქცეული იყო ბიუჯეტის შევსებისა და რეპრესირების ინსტრუმენტად, სწორედ მაშინ თქვენ და თქვენი წინამორბედები ასეთ რეჟიმს „დემოკრატიის შუქურასა“ და „სამაგალითო დემოკრატიას“ ეძახდით. დღესაც კი, როდესაც თვითონ იმ ხელისუფლების მიერ გადაღებული ათასობით ვიდეომასალა უტყუარად ამტკიცებს მათ მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულს, თქვენ კითხვები გიჩნდებათ არა ამის ჩამდენი ხელისუფლების, არამედ შემზარავ დანაშაულთა სააშკარაოზე გამომტანების მიმართ. რა არის ეს, თუ არა ორმაგი სტანდარტები? ამიტომ თქვენს კოლექტიურ განცხადებებში დაფიქსირებულ თავისთავად სწორ და მოხდენილ ფრაზებს („მედიის თავისუფლება და მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა დემოკრატიის მნიშვნელოვანი საფუძველია„; „დემოკრატიულ საზოგადოებებში განსხვავებულ მოსაზრებებს ხელი უნდა შეეწყოს“; „ყველა პოლიტიკურმა პირმა თავი შეიკავოს ნებისმიერი ნაბიჯისა თუ განცხადებისაგან, რომელმაც, შესაძლოა, ხელი შეუშალოს ქართულ მართლმსაჯულებას, აღნიშნული საქმე მიუკერძოებლად განსაჯოს“; „მთავრობამ და მართლმსაჯულების ინსტიტუტებმა უნდა დაიცვან მედიის თავისუფლებისა და პოლიტიკური პლურალიზმის პრინციპები, რომელიც საქართველოს გაცხადებული მისწრაფებების განუყოფელი ნაწილია“ და ა. შ.) ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილი ძალზე გულგრილად და უნდობლად ხვდება, რადგან, რეალობიდან და საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, მიაჩნია, რომ ეს ფრაზები და მათში გამოხატული პოზიცია არაგულწრფელი და ყალბია. მათ მშვენივრად იციან, თუ როგორ ხდება ასეთი „შეშფოთებულ-აღშფოთებული“ ტექსტების შედგენის ორგანიზება და სინამდვილეში ვის ოფისებში იწერება ამ ტექსტების მონახაზები.

თქვენ არ გსურთ, გაიგოთ, რომ ასეთი ორმაგი სტანდარტებით, ანტიდემოკრატიული ძალის დემოკრატიულად წარმოჩენითა და მისი უპირობო მხარდაჭერით მხოლოდ ანტიდასავლური განწყობების გაღვივებას უწყობთ ხელს საქართველოში. თქვენ ცდილობთ ქართული საზოგადოების დარწმუნებას იმაში, რომ დასავლური ღირებულებები სწორედ ის არის, რასაც სააკაშვილის ხელისუფლება თითქმის 10-წლიანი მმართველობის პერიოდში ნერგავდა ჩვენს ქვეყანაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თქვენ პირდაპირ თუ ირიბად გვიმტკიცებთ, რომ სწორედ დასავლური ღირებულებები იყო ნაციონალური მოძრაობის ერთპარტიული პარლამენტი, სატელევიზიო სივრცის მონოპოლიზაცია, ნებისმიერი ოპონენტისაგან მტრის ხატის შექმნა, დაშინებებისა და მოსყიდვების გზით არჩევნების ტოტალური გაყალბებები, მოქალაქეებისათვის ქონების უკანონო ჩამორთმევა და ბიზნესის სახელისუფლებო მონოპოლიზაცია, პოლიციური სახელმწიფოს მოდელის შექმნა თავისი უკანონო მოსმენებით, უკანონო დაპატიმრებებით, პატიმართა მასობრივი ცემა-წამებითა და უსამართლო სასამართლოს არსებობით. თქვენი ასეთი პოლიტიკის, პარტიულ-პროპაგანდისტული ტელევიზია „რუსთავი-2“-ის დამოუკიდებელი და თავისუფალი სიტყვის ერთადერთ წარმომადგენლად გასაღებითა და ამ ტელევიზიის ბედზე ზრუნვით „შეშფოთებულ-აღშფოთებული“ განცხადებების შედეგია ის, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ერთი ნაწილი თვლის, რომ „დემოკრატიული ფასეულობებიც“, „სიტყვის თავისუფლებაცა“ და „სასამართლოს დამოუკიდებლობაც“ თქვენთვის მხოლოდ პოლიტიკური მიზნებისთვის გამოსაყენებელი დეკლარირებული ღირებულებებია, ხოლო მეორე, შედარებით გაუთვითცნობიერებელი ნაწილი მიიჩნევს, რომ დასავლური ცხოვრების წესი სწორედ ის არის, რაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაამკვიდრა საქართველოში. ორივე შემთხვევაში ეს მხოლოდ ანტიდასავლური განწყობების გაღვივებას იწვევს ჩვენს ქვეყანაში, რადგანაც საბჭოეთის ცხოვრებაგამოვლილმა ხალხმა კარგად იცის, რომ ლამაზ სიტყვებს, ლოზუნგებსა და დეკლარაციებს არანაკლებ ჭარბად და ეფექტურად იყენებდნენ კომუნისტებიც, მაგრამ მათი ქმედებები მათივე ლოზუნგებისა და დეკლარაციების სრულიად საპირისპირო იყო.

ყოველივე ამის შემდეგ რჩება იმის განცდა, რომ ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი თავისი მენტალობით, ცხოვრების წესითა და მისწრაფებებით გაცილებით უფრო ახლოსაა დასავლურ ღირებულებებთან, ვიდრე თქვენი თვალთმაქცური, ყალბი და არაგულწრფელი პოზიციები. რასაკვირველია, პარტიულ-პროპაგანდისტულ ტელევიზიასაც აქვს არსებობის უფლება, მაგრამ ასეთი ტელევიზიის გამოცხადება „დამოუკიდებელ“ საინფორმაციო საშუალებად და „თავისუფალი სიტყვის“ ერთადერთ დამცველად ავტომატურად ნიშნავს, რომ საქართველოში მოქმედი ყველა სხვა ტელევიზია არც თავისუფალია, არც დამოუკიდებელი და არც კრიტიკული, ანუ ყველა მათგანზე ხელისუფლება ინარჩუნებს ზეგავლენას. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ თქვენ მიერ თავისუფალი სიტყვის სიმბოლოდ მონათლული პარტიულ-პროპაგანდისტული ტელევიზია „რუსთავი-2“ ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს არაერთხელ იყო წართმეული და სწორედ მისი კანონიერი მფლობელის დასადგენად მიმდინარე დავას იხილავს დღეს სასამართლო.

რაც შეეხება სასამართლოს დამოუკიდებლობას, ჩვენ აშკარად ვხედავთ, რომ თქვენი კოლექტიური თუ ინდივიდუალური განცხადებები სწორედ ამ დამოუკიდებლობის წინააღმდეგაა მიმართული და მიზნად ისახავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მიიღოს არა კანონიერი, სამართლიანი და დასაბუთებული, არამედ თქვენი დაკვეთის შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილება. ეს კი თავისთავად ეწინააღმდეგება თქვენივე განცხადებაში დეკლარირებულ იმ მიზანს, რომ „ყველა პოლიტიკურმა პირმა თავი შეიკავოს ნებისმიერი ნაბიჯისა თუ განცხადებისაგან, რომელმაც, შესაძლოა, ხელი შეუშალოს ქართულ მართლმსაჯულებას, აღნიშნული საქმე მიუკერძოებლად განსაჯოს“.

ჩვენი მოთხოვნა სწორედ ისაა, რომ თქვენ თვითონაც გაითვალისწინოთ თქვენსავე წინადადებაში გამოხატული ეს სწორი დებულებები და მოწოდებები“.

## ალიან-ჩალიანი

### ნოდარ ხადური: პედაგოგებისთვის ხელფასების ზრდა მომავალი წლის აპრილიდან დაიწყება

**ფინანსთა** მინისტრის ნოდარ ხადურის ინფორმაციით, მომავალი წლისთვის პედაგოგებს ხელფასი გაეზრდებათ. როგორც ფინანსთა მინისტრმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა , პედაგოგთა ხელფასები 70-მილიონი ლარით იზრდება.

„ხელფასი პედაგოგებისათვის მიმდინარე წლის სექტემბრიდან გაიზარდა და ხელფასების ზრდა კიდევ მომავალი წლის აპრილშია დაგეგმილი. საბაზო ხელფასი 400-450 ლარი ხდება“, — განაცხადა ხადურმა პარლამენტის სხდომაზე. ფინანსთა მინისტრმა პარლამენტს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი გააცნო.

### პენსიის გაზრდის საკითხთან დაკავშირებით მთავრობის პოზიცია ძალიან მალე გახდება ცნობილი

**2016 წლისათვის** პენსიის გაზრდის საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული პასუხი ფინანსთა მინისტრს ჯერ არა აქვს. ნოდარ ხადურმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დეპუტატების პასუხად მხოლოდ ის განაცხადა, რომ მუშავდება ვარიანტები და მთავრობის პოზიცია ახლო მომავალში გახდება ცნობილი.



„ჩვენ ერთხელ შევიკრიბეთ. მზად ვარ, კიდევ ერთხელ შევიკრიბოთ. გავიაროთ ვარიანტები, რომელიც მუშავდება ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად. მთავრობის პოზიცია ამასთან დაკავშირებით ძალიან მალე გახდება ცნობილი“, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

**გამოდის, რომ პენსიის გაზრდის იმედი ჯერ კიდევ არის...**

### იუსტიციის მინისტრს მთავარი პროკურორობის უკვე შვიდი კანდიდატი წარუდგინეს



**იუსტიციის** მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, უკვე არის მთავარი პროკურორობის შვიდი კანდიდატი. როგორც თეა წულუკიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, აღნიშნული პირები სხვადასხვა აკადემიურმა წრეებმა და საზოგადოებამ წარადგინეს.

„ჩვენ უკვე გვყავს შვიდი კანდიდატი, რომლებიც სხვადასხვა აკადემიურმა წრეებმა და საზოგადოებამ წარმოადგინეს ჩემ წინაშე. მე მომიწევს, რომ ამ კანდიდატებიდან სამი პირი შევარჩიო. გასაუბრებებს ჩავატარებ ამ დღეებში, მიმდინარე კვირაში, იმისთვის, რომ მომავალ კვირას მე შევძლო საპროკურორო საბჭოს სამპირიანი სია წარვუდგინო“, — განაცხადა წულუკიანმა.

### მადლენ ოლბრაიტს ქართული გულსაბნევი მოსწონს

**ეროვნულ-დემოკრატიული** ინსტიტუტის (NDI) თავმჯდომარე, მადლენ ოლბრაიტი საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს მადლობის წერილს უგზავნის, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან აცნობეს.

„ბატონო პრეზიდენტო, ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო თქვენთან შეხვედრა, როგორც ნიუ-იორკში, ასევე ვაშინგტონში. თქვენი გამოსვლები ორივე შეხვედრისას, ჩვენთვის შეუფასებელი მნიშვნელობის იყო, საქართველოში არსებული ვითარების გასაცნობად და ზოგადად, საერთაშორისო ასპარეზზე. ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი მხარდაჭერა დემოკრატიისადმი. მსურს, მადლობა გადაგიხადოთ მშვენიერი ქართული გულსაბნევის ჩუქებისთვის, რომელსაც მე სიამაყით ვატარებ. ველი ურთიერთობის შემდგომ გაგრძელებას. ღრმა პატივისცემით, მადლენ ოლბრაიტი“, — აღნიშნულია ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის თავმჯდომარის წერილში.

### ევროპარლამენტის დეპუტატი: საქართველომ შესაძლოა, სირიელი მიგრანტები მიიღოს

**ამის** შესახებ ევროპარლამენტის დეპუტატმა, მომხსენებელმა საქართველოს საკითხზე ანდრეი მამიკინსმა აზერბაიჯანულ სააგენტო „ტრენდთან“ საუბარში განაცხადა. მისი მოსაზრებით, თბილისი ამ გადაწყვეტილებას ევროკავშირის პოლიტიკასთან სოლიდარობის ნიშნად მიიღებს. „არ გამოვრიცხავ, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ ლტოლვილთა მიღების სურვილი გამოთქვას. ჩემი მოსაზრებით, საქართველოს, ევროკავშირის პოლიტიკასთან სოლიდარობის დემონსტრირების მიზნით, შეუძლია რამდენიმე ადამიანის მიღება მაინც“, — განაცხადა მამიკინსმა.

### საპარტნიორო ფონდმა ჩინეთის ძილინის პროვინციასთან თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა

**ხელშეკრულება** კულტურის, ტურიზმის, განათლებისა და სპორტის სფეროში ურთიერთობების გაფართოებას გულისხმობს.

„ძილინის პროვინციასთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს ასევე მზადყოფნას ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში პოტენციური პროექტების საქართველოში ერთობლივად განხორციელების შესახებ“, - ნათქვამია განცხადებაში.

მემორანდუმს საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა დავით საგანელიძემ, რაჭა ლეჩხუმისა და სვანეთის გუბერნატორმა პარმენ მარგველაძემ და ძილინის უცხო ქვეყნებთან თანამეგობრობის სახალხო ასოციაციის ვიცე მმართველმა ხუ ინიმ მოაწერეს ხელი.

ინტერპრესი

## გია მეფარიშვილი:

# სახელმწიფოებრივი კრიზისის ძალიან სერიოზულ სტადიაში შევცურდით

**„არ მინდა ვიფიქრო, რომ ხელისუფლება მოსამართლე თამაზ ურთმელიძის საქმეში ერევა, მაგრამ თუ ერევა, კონკრეტული შედეგიც უნდა ჩანდეს. ამას კი ნამდვილად ვერ ვხედავ, პირიქით, ხელისუფლებაში გეგმაზომიერი პოლიტიკური გადაწყვეტილებების დეფიციტია“, — ამბობს ჩვენთან ინტერვიუში ყოფილი გენერალური პროკურორი გია მეფარიშვილი, რომელიც ბოლო დროს განვითარებულ სამართლებრივ პრობლემებზე გვესაუბრება:**

— საქმე ისე გვაქვს, როგორც ჰამლეტი იტყოდა, „რაღაცა ჰყარს და ამისაებრ მშიაო“. როგორც ჩანს, სამართლის თვალსაზრისით სერიოზული პრობლემები დაგროვდა ქვეყანაში. დღეს მოსამართლე ურთმელიძის გადაწყვეტილება თვალით არავის უნახავს, მაგრამ უთოც რომ ჩართო, ისიც კი იყვირებს, მოსამართლე ურთმელიძე კარგი ადამიანი არ არისო?!

მოსამართლის სამსახურებრივი მოვალეობის დროს შეურაცხყოფა კანონით, დანაშაულად აღიარებული ქმედებაა და განსაკუთრებით დასჯადია...

**— მაშინ რატომ არ დაისაჯა ნიკა გვარამია, რომელმაც საჯაროდ შეურაცხყო მოსამართლე?**

— ვისაც ამის გაკეთება ევალებოდა, მას უნდა ემსჯელა ამ საკითხზე...

**— უნდა ეჩივლა თავად მოსამართლეს?**

— არა, ბატონო... კანონმდებლობა შეიცვალა. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით კი, ეს საჯარო ბრალდებაა... პროკურატურის ორგანოები ვალდებულები იყვნენ, თუნდაც კონკრეტული პირის ნების საწინააღმდეგოდ, გამოძიება დაეწყოთ. ჩემი აზრით, წარმოების აღსრულება არ დაიწყეს იმ მიზეზით, რომ „რუსთავი-2“-ის საქმე ძალიან რეზონანსულია და მას პოლიტიკური ინტერესიც ახლავს... ჩემი აზრით, ჩვენ ნამდვილად შევცურდით სახელმწიფოებრივი კრიზისის ძალიან სერიოზულ სტადიაში...

**— და გამოსავალს რაში ხედავთ?**

— რა თქმა უნდა, არა ძალასა და ძალადობაში. ყველაფერი შეიძლება მოგვარდეს ძალიან მშვიდად. უპირველესად, რაც გასაკეთებელია, ეს არის „რუსთავი-2“-ის საკუთრების უფლების გადანაწილების შესახებ მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჯაროება. ასევე საჭიროა, იმ განჩინების უფრო ყურადღებით წაკითხვა, რომელიც აღსრულების უფლებას შეეხება...

**— და ეს რას შეცვლის?**

— ძალიან ბევრ რამეს... ხომ უნდა ვიცოდეთ, რა წერია ურთმელიძის გადაწყვეტილებაში, რის საფუძველზე დაიწყო საქმის წარმოება, არის თუ არა იქ საუბარი სარედაქციო ცენზურაზე, ჩარევაზე და ა. შ. ამ გადაწყვეტილების გაცნობის შემდეგ, ძალიან ბევრი კითხვა მოიხსნება. ჩემი აზრით, სასამართლო ხელისუფლებამ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ძალიან დიდი შეცდომა დაუშვეს, როცა ამ საკითხზე ინფორმაციული ვაკუუმი შექმნეს. მოსამართლის გადაწყვეტილების გამოსვლის შემდეგ სპიკერ-მოსამართლეს კეთილი უნდა ენება და ვრცელი განმარტებები გაეკეთებინა ამ საქმესთან დაკავშირებით. ინფორმაციული ვაკუუმით ისარგებლეს გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმა და ისეთი ტალღა ააგორეს, რასაც შეიძლებოდა, ძალიან მძიმე შედეგები მოჰყოლოდა. კიდევ კარგი, საზოგადოება ამ საშიშ თამაშს არ აჰყვა. მინდა ისიც იცოდეთ, რომ ზოგიერთმა პოლიტიკურმა ძალამ თავიანთი დესანტი გაუშვა უმაღლეს სასწავლებლებში, რათა ერთხმად დაეგმოთ ახალგაზრდებს გამოხატვისა და სიტყვის თავისუფლება.

**— რასაც პირადად თქვენ არ ეთანხმებით?**

— არ მინდა მოსამართლის გადაწყვეტილებების განსჯაში შევიდე. მოსამართლე არის დამოუკიდებელი და მის მიერ მიღებული ვერდიქტის შეცვლის ან გაუქმების უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს. ხომ გეუბნებით, მე თვალით არ მინახავს ურთმელიძის გადაწყვეტილება...

**— შეეძლო თუ არა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უზრუნველეყო ეს საკითხი?**

— ეს უნდა გაეკეთებინათ თბილისის საქალაქო სასამართლოს და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომელსაც ნინო გვენეტაძე ხელმძღვანელობს... მართვის პროცესების განხორციელების შემთხვევაში, ამის მიღწევა შესაძლებელი იყო. ასე რომ მომხდარიყო, აჟიოტაჟიც არ ატყდებოდა....

**— რამდენად საჭიროა ეს საქმე წავიდეს სტრასბურგში. ნუთუ ქვეყნის შიდა სასამართლოებს მსგავსი დავის მოგვარების უნარი არ შესწევთ?**

— არ იქნება სტრასბურგი საჭირო, თუ ჩვენვე შევთანხმდებით ერთ რამეზე — რაზე არის დავა, რას წარმოადგენს დავის საგანი (და არა იმაზე, როგორ იქნება ინტერპრეტირებული დავის საგანი). გულუბრყვილობა იქნებოდა, არ გვეგულისხმა ის პოლიტიკური ძალა, ვინც ამის უკან დგას. მათ აქვთ სახელმწიფო ხელისუფლების ხელში აღების ამბიცია. სხვათაშორის, ეს ნორმალური ამბიციაა, მაგრამ აკრძალული ფორმებით არ უნდა გაკეთდეს.



> **როცა საზოგადოებას მოსამართლე ურთმელიძის გადაწყვეტილებაც კი არ უნახავს...**

**— თქვენ, რა თქმა უნდა, გულისხმობთ გამოქვეყნებულ ფარულ ჩანაწერებს, ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების სატელეფონო საუბრებს. საქმეს მსვლელობა მიეცა, მაგრამ შედეგი ჯერ არ ვიცით...**

— გამოძიება დაწყებულია, მაგრამ ერთ კვირაში ან 10 დღის ვადაში უნდა დაიდოს განმარტებები გამოძიების შედეგების მიმდინარეობის შესახებ. უკვე მიღებულია ინფორმაცია და ჩვენც უნდა ვიცოდეთ: რა ჩანაწერებია, საიდან არის აღებული, მტკიცებულებების რა წყაროა გამოყენებული. პროკურატურას აქვს ვალდებულება, საქმის კურსში ჩააყენოს საზოგადოება. გამოძიებას ჰქონდა საქმის დაწყების საბაბი და საფუძველი — ჩანაწერებში იყო კონსტიტუციური ხელისუფლების ძალადობით დამხობისა და მასობრივი არეულობისკენ მოწოდებები. ეს არ არის ჩვეულებრივი მოვლენა, რიგითი შემთხვევა... ასეთი „რიგითი შემთხვევა“ იყო სამეგრელოს ტყეებში აღმოჩენილი ფირები, რომელსაც ყურადღება არ მიაქციეს, მაგრამ „ურჩხულის კბილმა“ თავი იჩინა...

**— ანუ, თქვენი აზრით, ფირები არ უნდა გაენადგურებინათ?**

— რა თქმა უნდა. მას უნდა მისცემოდა შესაბამისი შეფასებები, უნდა ყოფილიყო გამოძიებული თითოეული შემთხვევა... ჩვენ რა გადაწყვეტილება მივიღეთ? — ავიღეთ და ფირები გავანადგურეთ. თურმე, პირადი ცხოვრების ამსახველი ყოფილა. დამნაშავე პირის მონაწილეობა პირად ცხოვრებაში დანაშაული არ არის?! ნივთმტკიცება გაანადგურეს. ვთქვათ, მოხდა სასწაული და გამოძიება გავიდა კონკრეტულ პიროვნებაზე, რომელმაც უკანონოდ ჩაატარა მოსმენები, ან გაამჟღავნა პირადი ცხოვრება, რა იქნება მისი პასუხისგებაში მიცემის საბაბი?

**— „განადგურებული ფირი“...**

— ანუ არ უფიქრით ამაზე, არა? ან კანონით ვის აქვს უფლება, გადაწყვიტოს ფირების განადგურება? — მხოლოდ სასამართლოს! მაშინ, რა ეკითხებოდა ან კომისიას, ან შს სამინისტროს? ანუ ეს იყო აბსოლუტურად პოლიტიკური გადაწყვეტილება და არა სამართლებრივი, რომელსაც ჯიუტად არ ვაღიარებთ და შედეგებსაც ვიმკით.

**— ბატონო გია, პარლამენტის უმრავლესობა საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე მოსამართლის აცილებას ითხოვს. არის თუ არა ამ საკითხში რაიმე პოლიტიკური ნიუანსი?**

— არცთუ შორეულ წარსულში მე გახლდით საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი კოლეგიის ხელმძღვანელი, ამდენად ძალიან ვუფრთხილდები მის პრესტიჟს.

ის, რაც აქამდე მოხდა საკონსტიტუციო სასამართლოში, ესეც აბსოლუტურად ინფორმაციული ვაკუუმის ბრალი იყო. ჯოხი ზედმეტად გადაიღუნა, რასაც მოჰყვა კიდეც საზოგადოების რეაქცია. რაც შეეხება იმ უსიამოვნო ისტორიას, რაც პარლამენტსა და საკონსტიტუციო სასამართლოს შორის წარმოიშვა, ესეც ჩვეულებრივი მომენტია. პარლამენტი ქმნის კანონებს, ამდენად, ის არის მოპასუხე მხარე ყველა კანონთან დაკავშირებით. პარლამენტს უფლება აქვს, მოსამართლის აცილების საკითხი დააყენოს. გაუგონარი ამაში არაფერია და სრულებითაც არ უკავშირდება ეს სასამართლოს იძულების, მით უმეტეს, შეურაცხყოფის საკითხს.

**— ეჭვებს აჩენს საკონსტიტუციო სასამართლოს მყისიერი რეაქცია ნაციონალური მოძრაობის თითოეულ მოთხოვნაზე...**

— დიახ, კითხვები არსებობს, მაგრამ რომ ყოფილიყო განმარტებები, რომელიც წესით, პრესსამსახურს უნდა გაეკეთებინა, პასუხიც გვექნებოდა. მე არ ვლაპარაკობ იმაზე, რომ მოსამართლე უნდა გამოვიდეს და თავი იმართლოს, ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ ინფორმაციული სიცხადის შექმნა აუცილებელია. იყო ვებ-გვერდზე გამოკიდული „ტელეგრამა“, მაგრამ ეს არაფრის მომცემია. მაინტერესებს, რატომ გადაწყვიტა სასამართლოს თავმჯდომარემ, რომ მაგალითად, „აღსრულების საკითხი“ პრიორიტეტული ყოფილიყო, როცა იქ რიგია, 9-10 თვე, წელიწადი, 2 წელიც კი ელოდებიან. რატომ დაირღვა რიგი, როცა იქ განსახილველად დევს საპატიმრო საკითხები, რომელზეც არის დამოკიდებული ადამიანის სიცოცხლე და თავისუფლება... არ შეიძლება საზოგადოებასა და სასამართლოს შორის ამხელა უფსკრული იყოს!

**— არის თუ არა თავისუფალი სასამართლო საქართველოში?**

— რა თქმა უნდა, სასამართლო თავისუფალია. თუნდაც გამამართლებელი განაჩენების სიხშირეც ამაზე მიუთითებს. გახსოვთ, რომ 2004-2012 წლებში გამამართლებელი განაჩენი თითქმის არ გამოდიოდა. საზოგადოება მიხვდა, რომ სასამართლოს დასჯის ფუნქცია კი არა აქვს, არამედ სიმართლის დადგენის ვალდებულება აკისრია. სასამართლო ასეთი დამოუკიდებელი არასოდეს ყოფილა! რა თქმა უნდა, იდეალურისგან კი ძალიან შორსაა...

**— ბატონო გია, როგორც ყოფილ გენერალურ პროკურორს, უნდა შეგაფასებინოთ პროცესები „სამართლიანობის აღდგენასთან“ დაკავშირებით, რომელზეც არაერთ ინტერვიუში გვისაუბრია... შედეგები კიდევ არ ჩანს, რატომ?**

— პოლიტიკური ნების არარსებობის გამო. მე ყოველთვის სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი, რადგან ვიცოდი, ხელისუფლების გზა ტაძრამდე ვერ მიგვიყვანდა. უნდა შექმნილიყო პროკურატურის სპეციალიზებული სტრუქტურები, სასამართლოში უნდა ჩამოყალიბებულიყო სპეციალური კოლეგიები, პალატები, რომლებიც რეაბილიტაციის პროცესზე იზრუნებდნენ...

**— სამართლიანობის აღდგენა ქაოსს გამოიწვევსო?**

— არა, არა, თუ, რა თქმა უნდა, სახელმწიფო კორექტულად გააკეთებს. „რუსთავი-2“-ის საქმეც სამართლიანობის აღდგენის მცირე ნაწილია... როგორ ფიქრობთ, ვინმე გაჩუქებთ 7-მილიონიან ქონებას?

**— რატომ არა აქვს ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენის სურვილი, მიზეზი რა არის, თქვენი აზრით?**

— ჩემი ეჭვია, რომ დასავლეთისგან მოდის ზეწოლა. ისინი სასტიკი წინააღმდეგი არიან, აღდგეს სამართლიანობა, ვინაიდან ერთი პოლიტიკური ძალის პრესტიჟს შეიწირავს... საქართველო კი იმდენად არის ინტეგრირებული დასავლურ სტრუქტურებში, რომ ამ რადიკალური ნაბიჯის გადადგმა ყველას უჭირს!!!

ესაუბრა
**თეა მოსია**

---

**ევროპული პერსპექტივა**

## საქართველოს ყველა შანსი აქვს, 2016 წელს უვიზო რეჟიმი მიიღოს

**დიახ, საქართველოს ყველა შანსი აქვს, 2016 წელს ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი მიიღოს. ამის შესახებ ევროპარლამენტის წევრმა, მომხსენებელმა საქართველოს საკითხზე ანდრეი მამიკინსმა აზერბაიჯანულ სააგენტო „ტრენდთან“ საუბარში განაცხადა.**

**„წლის ბოლომდე ველოდებით ევროპული კომისიის ძალიან დადებით ანგარიშს. 99%-ით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უვიზო რეჟიმი უკვე მომავალ წელს დაწესდება“, — განაცხადა მამიკინმა.**

**მისი თქმით, შარშან საქართველომ, მოლდოვასგან განსხვავებით უვიზო რეჟიმი ვერ მიიღო, რაც „გარკვეული უსამართლობა“ იყო. მისი მოსაზრებით, მოლდოვას სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღება რუმინული ლობის ძლიერი გავლენით იყო განპირობებული.**

**მამიკინმა აღნიშნა, რომ ევროკავშირის სამ ახალ ასოცირებულ წევრს შორის, საქართველო, კანონების ჰარმონიზაციისა და ევროკავშირის პროექტების განხორციელების კუთხით „აბსოლუტური ლიდერია“.**

**„ვიცით, რამდენად მნიშვნელოვანია ქართველი საზოგადოებისთვის უვიზო რეჟიმის მიღება. ამას სიმბოლური მნიშვნელობა უფრო აქვს, ვიდრე პოლიტიკური“, — აღნიშნა მამიკინმა.**

**„შესაძლოა, ჩატარდეს სიმბოლური კენჭისყრა ევროპარლამენტში. თუმცა, რთული არ არის იმის პროგნოზირება, რომ დეპუტატების უმრავლესობა ამას მხარს დაუჭერს. მთავარი გადაწყვეტილება ევროპულმა პარლამენტმა 1 წლის წინ მიიღო, როცა საქართველოს ასოცირებულ წევრობას დაუჭირა მხარი. ამიტომ, გადაწყვეტილება უვიზო რეჟიმის დაწესების შესახებ ტექნიკური ხასიათისაა“, — განაცხადა მამიკინმა.**

**მისი მოსაზრებით, საქართველოსგან განსხვავებით, ევროკავშირი 2016 წელს არ დააწესებს სავიზო რეჟიმს უკრაინასთან და თურქეთთან.**

**ინტერპრესი**

# ნოდარ ნათაძე: პრიმაკოვის გეგმა სწორედ კონფედერაცია იყო და ეს არის უზურპაცია



**„ზაქარეიშვილის ავანტიურა, ანუ პრიმაკოვისეული გეგმის გაცოცხლების მცდელობა“, — ამ სიტყვებით ეხმაურება „სახალხო ფრონტის“ ლიდერი ნოდარ ნათაძე პაატა ზაქარეიშვილის ინიციატივას, რომ საქართველო „მზად არის“, განიხილოს ფედერაციული სახელმწიფო მოწყობის შემოღების საკითხი, რაც აფხაზეთისთვის განსაკუთრებულ სტატუსს გულისხმობს.**

ჩვენთან საუბარში ნოდარ ნათაძე განმარტავს, რომ ეროვნული მოძრაობის წევრები უახლოეს ხანში თავად წარადგენენ აფხაზეთის მოწყობის მოდელს და ამ საკითხში „ნაძირლების“ ჩართვა საჭირო არ არის. კერძოდ, ნოდარ ნათაძე განმარტავს, რომ „ოთხმა ნაძირალამ“ წლების წინ გაზეთ „24 საათში“ გამოაქვეყნა პროექტი საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ, რომელიც სინამდვილეში იყო პრიმაკოვის გეგმა და გულისხმობდა კონფედერაციას, ანუ სახელშეკრულებო სახელმწიფოს. ამ გეგმის მიხედვით, საქართველო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი უნდა გაერთიანებულიყო ერთ სახელმწიფოში, რომელიც იმ წუთშივე დაიშლებოდა, როგორც კი ამ სახელმწიფოს ერთ-ერთი მონაწილე იტყოდა, აღარ მინდა ამ სახელმწიფოს შემადგენლობაშიო.

**„ეს არის ამ ნაძირლების გეგმა. ამ გეგმას ხელს აწერდა ორი რესპუბლიკელი (პაატა ზაქარეიშვილი, ივლიანე ხაინდრავა) და ორი კიდევ შევარდნაძის გუნდიდან, მათ შორის, ერთი იყო დავით ბაქრაძე, რომელიც შემდგომ პარლამენტის თავმჯდომარე გახდა. მეოთხის ვინაობა აღარ მახსოვს. ეს ნიშნავს არათუ საქართველოს ფედერაციულ მოწყობას, არამედ კონფედერაციას. პრიმაკოვის გეგმა სწორედ კონფედერაციაა. ზაქარეიშვილი რომ ამბობს, საქართველო ამისთვის მზად არისო, ეს ხომ უზურპაციაა. ვინ არის ზაქარეიშვილი, რომ საქართველოს სახელით ილაპარაკოს?! რას წარმოადგენს?! ეს ისეთი კითხვაა, რომელზეც პასუხის გაცემა შეიძლება მხოლოდ რეფერენდუმის სახით. სანამ რეფერენდუმი არ ჩატარებულა, არავის აქვს უფლება, ამ თემაზე რაღაც პოზიტიური თქვას.**

**ჰკითხეთ ერთი აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს, ვინ არის პაატა ზაქარეიშვილი. ჩვენ გვაქვს გეგმა და გაიზიარებენ თუ არა აფხაზები ამ გეგმას, ეს აუცილებელი არც არის, ვინაიდან აფხაზეთის მთელი ტერიტორია, ხელუხლებელი ბუნებიდან დაწყებული, განვითარებული ფეოდალური ცივილიზაციით დამთავრებული, ქართველი ეთნოსის მიერ არის შექმნილი, აფსუა ეთნოსის ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე. მე-16-17 საუკუნიდან გადმოვიდა აფსუა ხალხი ჩრდილო კავკასიიდან და დასახლდა აფხაზეთის ტერიტორიაზე. ძირითადად, მშვიდობიანად გადმოვიდნენ, რადგან გაწყვეტილი იყო აქაური მოსახლეობა. აფხაზეთი მუდამ იყო ვასალი ოდიშის მთავრის დადიანისა, ან იყო ვასალი უშუალოდ იმერეთის მეფისა. თავის მხრივ, დადიანიც იმერეთის მეფის ვასალი გახლდათ“,** — ამბობს ნოდარ ნათაძე.

ამასთან, განმარტა, აფხაზთა სამეფო აფსუაენოვანი რომ ყოფილიყო, საამისოდ არანაირი კვალი არ არსებობს ბუნებაში. სამაგიეროდ, ქართულენოვანი რომ იყო, ამის არაპირდაპირი საბუთი არის.

მე-8 საუკუნეში, გრიგოლ ხანძთელისგან გამოქცეული ორი მოწაფე, ბერები — თეოდორე და ქრისტეფორე მიადგნენ აფხაზეთის მეფეს და აფხაზთა მეფემ სთხოვა მათ, მობრძანდით, აარჩიეთ ადგილი, სადაც გინდათ და მონასტერი დამიარსეთ, რადგან მე დაინტერესებული ვარ, ბერძნული წირვა-ლოცვის ნაცვლად, ქართული შემოვიტანოო. ამით მტკიცდება, რომ აფხაზეთში ქართულენოვანი მოსახლეობა ყოფილა.

ნოდარ ნათაძე თვლის, რომ ეს საბუთები საკმარისია აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ქართველი ერის ავტოქტონურობის დასამტკიცებლად. ასე რომ, უპირობოა საქართველოს სახელმწიფოს უფლება, განახორციელოს აფხაზეთის ტერიტორიაზე თავისი იურისდიქცია. ამისთვის აფხაზი სეპარატისტების არავითარი თანხმობა არ გვჭირდება. **„ეს აფსუა ხალხი გადმოვიდა, დასახლდა ფეოდალურ ქვეყანაში — საქართველოში და ფეოდალური ცნობიერება შეითვისა, რომლის ერთ-ერთი ელემენტია ერის ცნება. აფსუებმა გადაიაზრეს თავიანთი თვითიდენტიფიკაცია და ფსიქოლოგიურად მივიდნენ იმ მდგომარეობამდე, რომ ჩვენ, ვინც გადმოვსახლდით, ანუ აფსუა ხალხი, ვართ სხვა ერი, ვიდრე ჩრდილო კავკასიაში დარჩენილი ადიღეელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები. ისინი მათ გამოეყვნენ, უკვე ცალკე არიან, ამიტომ, რაკი ცალკე არიან და კომპაქტურად ცხოვრობენ, მათ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ეკუთვნით, ააშენონ თავიანთი საზოგადოება, ისე რომ კონსტიტუციას არ შეეწინააღმდეგონ. ეს ქართველების მორალური მოვალეობით აიხსნება და არა — აფსუების დამსახურების გამო“,** — აცხადებს ნოდარ ნათაძე და შეკითხვის საპასუხოდ, ზაქარეიშვილის გეგმა ამერიკასთან შეთანხმებული ხომ არ არის, განმარტავს, „როგორ უნდა იყოს ამერიკასთან შეთანხმებული, როცა არც ამერიკა და არც მსოფლიო არ ცნობს აფხაზეთის დამოუკიდებლობას?!

**„განა რუსეთის გეგმა მსოფლიომ არ იცის? რუსეთის გეგმა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ანექსიაა. რუსეთს ეს იმისთვის კი არ სჭირდება, რომ მანდარინი ჭამოს და ზღვაზე იბანაოს, არამედ სურს, რომ მოიპოვოს ამიერკავკასიის მეოთხე სახელმწიფოს სტატუსი. ანუ რუსეთს უნდა, გახდეს ამიერკავკასიური სახელმწიფო. მისი მიზანია, ათწლეულობით გადაკეტოს დასავლეთის გზა ცენტრალური აზიისკენ“.**

ის, რომ ზაქარეიშვილის გეგმა პრიმაკოვისეული გეგმის გაცოცხლების მცდელობაა, ამ აზრს იზიარებენ საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრებიც: მამუკა გიორგაძე, თენგიზ დიხამინჯია, პაატა კოღუაშვილი, თეიმურაზ მჟავია, ნიკოლოზ სანებლიძე და მიხეილ ჯიბუტი. ისინი აცხადებენ, რომ **„ფედერალური სახელმწიფოს მოწყობა, ანუ სახელმწიფოს იურიდიულად და პოლიტიკურად დაყოფა ორ ან მეტ ტერიტორიულ ერთეულად, რომელთაც საკუთარი პოლიტიკური ნება და შესაბამისი უფლებამოსილებები გააჩნიათ, არის სახელმწიფოს ერთიანობის პარალიზება.**

**მათი აზრით, ქართველმა ერმა ჯერ კიდევ 2500 წლის წინ შეგნებულად უარყო საკუთარი თავის დაქუცმაცება კუთხურობის პრინციპით: ქუჯი ერისთავმა არა მარტო თავისი ძალაუფლება, არამედ თავისი დინასტიის ძალაუფლებაც დათმო, როცა თავისი საბატონო მეფე ფარნავაზს დაუქვემდებარა. ისტორიაში ეს თითქმის უნიკალური აქტი განაპირობა შეგნებამ, რომ საქართველოს ერთი მოდგმის მოსახლეობა ეფექტურ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა მტერს სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურად რთულ სივრცეში, თუკი ერთიანი სახელმწიფოებრიობა არ იქნებოდა.**

**მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში ჩატარებულია ეთნიკური წმენდა და ქართული მოსახლეობის გენოციდი (რომლის პატიების უფლებაც არც ერთი ქვეყნის არც ერთ კანონს არა აქვს), არც საქართველოს სახელმწიფო, არც ქართველი ერი არ მიიჩნევს დასაშვებად, რომ დაკნინდეს აფსუა (აფხაზი) მოსახლეობის სტატუსი მოზარდი და მომავალი თაობებისთვის. აფსუა (აფხაზი) ხალხი ჩვენი სისხლითა და ენით მონათესავე კავკასიელი ხალხია და ჩვენი სახელმწიფო, რომლის განუყოფელი ნაწილიც ეს ტერიტორიაა, მუდამ იყო და იქნება“,** — აცხადებენ პარლამენტის ყოფილი წევრები.

**მანანა ნოზაძე**

## სტიქია

### ბუნება მბრძანებელია!

უამინდობით გამოწვეული ქსელების დაზიანების გამო, ყველაზე მეტად გურიისა და აჭარის რეგიონები დაზარალდა.

„ენერგო-პრო ჯორჯიას“ განცხადებით, გუშინწწინ, მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა ძლიერი წვიმა და ქარი, მაღალმთიან რეგიონებში კი ძლიერად თოვდა, რის გამოც დაზიანდა როგორც მაღალი ძაბვის, ისე დაბალი ძაბვის გადამცემი ხაზები.

ღამის განმავლობაში, 50 000-მდე აბონენტს არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია. სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად, შეზღუდული აბონენტების ნაწილისთვის მოხერხდა ელექტროენერგიის მიწოდების აღდგენა, თუმცა, დილით სტიქიის გამო კვლავ მოიმატა გათიშული აბონენტების რიცხვმა. ყველაზე მეტი აბონენტი გათიშულია გურიისა და აჭარის რეგიონებში, თუმცა მცირე შეზღუდვებია სხვა რეგიონებშიც.

### სამტრედიაში რამდენიმე ქუჩა და ოჯახი დაიტბორა

ძლიერი წვიმების შედეგად სამტრედიაში რამდენიმე ქუჩა და ოჯახი დაიტბორა. ადგილზე მთელი ღამის განმავლობაში იმერეთის საგანგებო სიტუაციების სამსახურის თანამშრომლები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის ვალერი ფოცხვერიას განცხადებით, ძლიერი წვიმის შედეგად რამდენიმე სახლის პირველ სართულზე წყალი შევიდა. უხვი ნალექის გამო რამდენიმე ქუჩაც დაიტბორა. ადიდდა მდინარე ჭურთავა. გუშინ დატბორილ ადგილებში გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობდა.

### სოფელ ზოტში მეწყერი ჩამოწვა

ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზოტში ერთ მოსახლეს ქარმა სახლი დაუნგრია. როგორც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი კუჭავამ განაცხადა, ჩოხატაურში გუშინ ძლიერი წვიმა მოვიდა. წვიმას ძლიერი ქარი მოჰყვა. შედეგად მუნიციპალიტეტში რამდენიმე ადგილას მეწყერი ჩამოწვა, საავტომობილო და სოფლის გზები დაზიანდა, ქარმა საცხოვრებელ სახლებს სახურავები გადახადა.

მისივე თქმით, დიდ ვანსა და შუა სურებს შორის მეწყერი ჩამოწვა. ადგილზე გაიგზავნა ტექნიკა და გზა ერთ საათში გაიწმინდა.

სოფელ ხიდისთავის ცენტრში ძლიერმა ქარმა ალვის ხე მოგლიჯა, დაზიანდა გაზსადენი მილი და ელექტროგადამცემი ხაზები. ადგილზე მუშაობდნენ სამაშველო ბრიგადები, რომლებმაც ტერიტორია გაასუფთავეს და იქ მოძრაობა აღდგენილია.



„ამჟამად ჩვენი ამოცანაა საავტომობილო გზები მეწყერისგან გაიწმინდოს, რათა სახანძრო, სასწრაფო ბრიგადებმა და ტექნიკამ მოძრაობა შეძლოს“, — დასძინა ირაკლი კუჭავამ.

### აჭარის მთავრობა საგანგებო რეჟიმში მუშაობს

აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ნუგზარ სურმანიძემ 11 ნოემბრის სტიქიის შედეგები შეაჯამა. აჭარის მთავრობა სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის დასადგენად და აღმოსაფხვრელად საგანგებო რეჟიმში მუშაობს.

ძლიერი ქარის შედეგად ქობულეთში რამდენიმე ადგილას წაიქცა ხე, რის გამოც გარკვეული პერიოდის განმავლობაში პარალიზებული იყო გადაადგილება ცენტრალურ მაგისტრალზე. მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაზიანდა რამდენიმე საცხოვრებელი, მათ შორის, ერთი მრავალბინიანი სახლია და ყოფილი საბავშვო ბაღის შენობის სახურავი, სადაც თვითნებურად შესახლებული 5 ოჯახი ცხოვრობს. დაბა ჩაქვში, ჩაის ფაბრიკის მიმდებარედ საცხოვრებელი სახლი დაინგრა, რის შედეგადაც, საჭირო გახდა ოჯახის წევრებისთვის სამედიცინო დახმარების გაწევა. ამ დროისათვის ისინი უსაფრთხო გარემოში არიან გადაყვანილი, — განაცხადა სურმანიძემ.

მისივე თქმით, ხელვაჩაურში, სოფელ კირნათში, ქედქედსა და კაპრეშუმში ძლიერი ქარის შედეგად წაქცეული ხეების დაცემის გამო დაზიანებულია რამდენიმე ოჯახის სახლის სახურავი. განსაკუთრებით კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ორი ოჯახი გადაყვანილია უსაფრთხო ადგილზე.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ქედასა და შუახევში. „ჭარბმა ატმოსფერულმა ნალექებმა, წყალდიდობამ ხელი შეუწყო მეწყერული პროცესების განვითარებას. მეწყერის შედეგად ჩაიკეტა საავტომობილო გზები სოფელ ტაკიძეებში, ხაბელაშვილებში, ვანში, დღვანში, უჩამბაში. ღამით აღდგენილი იქნა მოძრაობა სოფელ ტაკიძეების გზაზე. საგზაო დეპარტამენტის ტექნიკა მობილიზებულია გზების დაზიანებული მონაკვეთების აღსადგენად, მიმდინარეობს სამუშაოები. წუხელ ღამით რამდენიმე ოჯახი გახიზნული იქნა უსაფრთხო ადგილებში“, — განაცხადა სურმანიძემ.

როგორც მან აღნიშნა, ხულოს მუნიციპალიტეტში მეწყერი ჩამოწვა ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის „კათხევას“ მონაკვეთზე, დიდი რიყეთის სოფლის გზაზე.

ინტენსიური თოვლის, ქარბუქისა და ნალექის შედეგად შეზღუდული ხილვადობის გამო ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის გოდერძის უღელტეხილის მონაკვეთზე შეზღუდულია მოძრაობა. აჭარის მოსახლეობას გაზი მიეწოდება შეუფერხებლად. სხვადასხვა ლოკაციებზე დაზიანების გამო რეგიონის მასშტაბით ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი 27 593 აბონენტი. წუხელ გვიან ღამით განვითარებული უამინდობის შედეგად ამ დროის მონაცემებით ქალაქ ბათუმისთვის სტიქიას მნიშვნელოვანი ზარალი არ მიუყენებია. თუმცა რეგიონის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში სტიქიური მოვლენები გრძელდება.

**ინტერპრესი**

კვალი დროში

# ქვეყნისადმი სამსახურის მაგალითი

## აკადემიკოს გიორგი ციციშვილის გახსენება

**გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ცნობილ ქიმიკოსს, საქართველოს მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს გიორგი ციციშვილს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა.**

გიორგი ციციშვილი დაიბადა 1915 წლის 24 ოქტომბერს თბილისში, ცნობილ ექიმ ლადო და მუსიკოს ქსენია ციციშვილების ოჯახში. 1937 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი, ჩაირიცხა ასპირანტურაში, მიავლინეს ქ. მოსკოვში — ლ.კარპოვის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ფიზიკურ-ქიმიურ ინსტიტუტში, სადაც მოამზადა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. შემდეგ კვლევები გააგრძელა თეორიულ და ექსპერიმენტული ქიმიის დარგში და 1947 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.



1940 წლიდან გიორგი ციციშვილი მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე, 1941 წლიდან — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტში. 1947 წელს აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილის პირადი რეკომენდაციით გიორგი ციციშვილი დაინიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის დირექტორად. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა მნიშვნელოვანი სამუშაოები ინსტიტუტის სტრუქტურის და ძირითადი სამეცნიერო მიმართულებების დასახვეწად, ასევე კვლევების ბაზის შესაქმნელად.

1950 წელს გიორგი ციციშვილი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1960 წელს — აკადემიკოსად, ხოლო 1963 წელს — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრად და ამავე წელს ჩამოყალიბებულ ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივნად. თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში სათავეში ედგა საქართველოში ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განვითარებას. 1989 წლიდან იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი და პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის საპატიო დირექტორი.

ბატონი გიორგი ფუძემდებელია ჩვენს ქვეყანაში ისეთი მნიშვნელოვანი დარგების განვითარებისა, როგორიც არის ნივთიერების აღნაგობა და სორბციული პროცესები. მან შექმნა საქართველოს ადსორბციული სკოლა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქიმიის მეცნიერებაში. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა მაღალკვალიფიციური კადრები და შეიქმნა ექსპერიმენტული ბაზა თანამედროვე ფიზიკურ-ქიმიური კვლევის ჩასატარებლად. გამოკვლეულია სორბციული პროცესების სტატიკა, კინეტიკა და ენერგეტიკა. კვლევის ობიექტებს წარმოადგენდა საქართველოს მონტმორილონიტური და სხვა თიხები, სინთეზური და ბუნებრივი ცეოლითები, ცეოლითმაგვარი და სხვა მასალები. მათი აღნაგობა და თვისებები გამოკვლეულია სორბციული, ქრომატოგრაფიული, სხვადასხვა სპექტრული, თერმოგრაფიული, კატალიზური, თერმოგრაფიული და სხვა მეთოდებით; აგრეთვე ჩატარებულია მუშაობის დიდი ციკლი მოლეკულური საცრების — ადსორბენტების, იონმიმომცვლელებისა და კატალიზატორების მისაღებად. გიორგი ციციშვილის პირველი მონოგრაფია, „სორბციული პროცესები“ (თბილისი 1959 წ.), დღესაც არის სამაგიდო წიგნი დარგის სპეციალისტებისათვის, ხოლო „ბუნებრივი ცეოლითების“ ინგლისურმა თარგმანმა (1992 წ.) საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების მაღალი შეფასება დაიმსახურა. 1996 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში დაიბეჭდა გიორგი ციციშვილის მონოგრაფია „კვანტური ქიმია“.

გიორგი ციციშვილის და მისი თანამშრომლების სამეცნიერო ნაშრომები დაჯილდოებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პეტრე მელიქიშვილის (1965) და ალექსანდრე თვალჭრელიძის (1987) სახელობის პრემიებით. გიორგი ციციშვილის სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა აღინიშნა „შრომის წითელი დროშის“ (1966 წ.), „ხალხთა მეგობრობის“ (1985 წ.) და საქართველოს „ღირსების“ (1995 წ.) ორდენებით და მრავალი მედლით.

აკად. გიორგი ციციშვილმა დიდი ძალა და ენერგია მოახმარა სამეცნიერო-ორგანიზაციულ მუშაობას. მისი ინიციატივით 1953 წლიდან ტარდებოდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მეცნიერებათა აკადემიების ქიმიის ინსტიტუტების გაერთიანებული სამეცნიერო სესიები. 1963 წლიდან ხელმძღვანელობდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ადსორბენტების სამეცნიერო საბჭოს ცეოლითების სექციას, 1975 წლიდან მისი ინიციატივით გამოდის ჟურნალი „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია“, რომელსაც იგი წლების განმავლობაში რედაქტორობდა. 1977 წელს არჩეულია ცეოლითების საერთაშორისო ასოციაციის საბჭოს წევრად. 1992 წელს მან ჩამოაყალიბა ცეოლითების საქართველოს ასოციაცია, რომელიც 1998 წელს მისი თაოსნობით გახდა ევროპის ცეოლითების ასოციაციათა გაერთიანების წევრი. 1992 წლიდან გიორგი ციციშვილი რედაქტორია ოთხენოვანი (ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული) ქიმიური ლექსიკონისა, რომელიც გამოიცა 2004 წელს.

ბატონი გიორგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამეცნიერო ფორუმების ორგანიზებასა და მუშაობაში. მათ შორის აღსანიშნავია ცეოლითების კვლევის და გამოყენებისადმი მიძღვნილი კონფერენციები და სიმპოზიუმები, რომლებიც ტარდებოდა თბილისში, სოხუმსა და საქართველოს სხვა ქალაქებში,

აკად. გიორგი ციციშვილი ფართო დიაპაზონის მეცნიერი იყო. იგი ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1940 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე, რომლის პროფესორი იგი 1949 წელს გახდა, კერძოდ: „ქიმიური თერმოდინამიკა“, „მოლეკულების აღნაგობა“, „ფიზიკური ქიმია“, „აირსაწინააღმდეგო საქმე“, „სორბციული პროცესები“, „კვანტური ქიმია“.

გიორგი ციციშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა მეცნიერებისა და ქვეყნისადმი სამსახურის ნათელი მაგალითია. იგი ათეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოში ქიმიური მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებას. მან დამსახურებულად მოიპოვა საყოველთაო აღიარება საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებაში.

**გამოჩენილი მეცნიერის სახელის უკვდავსაყოფად, დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ დააარსა აკადემიკოს გიორგი ციციშვილის სახელობითი პრემია ქიმიის დარგში.**

გამორჩეული მეცნიერი, პედაგოგი, ჭეშმარიტი ინტელიგენტი და დიდებული პიროვნება, ასეთად იცნობდნენ მას საქართველოში და ასეთად დარჩება მარადისობაში.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

ჯარი

# „ჩვენი ჯარისკაცები ისედაც ღარიბი ოჯახებიდან არიან, ამიტომ მათი დაჯარიმება აბსურდულია“

| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმოთეულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ურეკის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით) კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 500 მ³/წელიწადში. |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ურეკის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 16 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 213 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 13 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 14 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 9** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 |

| | | |
|---|---|---|
| | | 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით, ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1.5 მ-ს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დაარღვიოს მდინარე რიონის კალაპოტის რეჟიმი და საფრთხე არ შეუქმნას მიმდებარე ტერიტორიებს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ქუთაისის ტერიტორია, მდ. რიონის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 186 900 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ქუთაისის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 25 061 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2506,1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი | 20 249 ლარი |
| | სალიცენზიო მოსაკრებელი | |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 13 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 14 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

## ობიექტი № 10

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს სამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ქუთაისი, გუგუნავას ქ. N 12 (მიწისქვეშა მტკნარი წყალი სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1000 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ქუთაისი, გუგუნავას ქ. N 12 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 32 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 216 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 13 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 14 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

## ობიექტი № 11

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს სამისოდ უფლებამოსილი პირი; |

| | | |
|---|---|---|
| | | ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწყობა, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ჭაბურღილი საჭიროებს მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფ. გიორგიწმინდის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 10 000 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. გიორგიწმინდის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 323 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 32,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 362 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 13 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 14 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 12**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწყობა, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა |
| | | (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნატანების (შეკვეთილი) ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 730 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნატანების მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 24 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %)თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 212 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 13 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 14 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 13**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწყობა, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ურეკის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 365 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ურეკის მიმდებარე |

| | | |
|---|---|---|
| | ადგილმდებარეობა | ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 12 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 206 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 13 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 14 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 14** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული |
| | | და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ჭაბურღილი საჭიროებს მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას და შემოღობვას.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ურეკის ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 2 000 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ურეკის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 65 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 6,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 233 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 13 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება |
| | დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | 2015 წლის 14 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 14 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან რაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 15** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ |
| | | პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) მოპოვებული წყლის გამოყენება სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის დაუშვებელია, საჭიროა წყლის ორგანოლეპტიკური და ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ანალიზების ჩატარება.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვიტირში მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 730 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვიტირის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 24 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 212 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 13 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 14 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 14 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის |
| | | დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

SIC!

# პოპულარული წამალი, რომელსაც ბავშვების სიცოცხლე შეეწირა

**საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ მრავალი მედიკამენტი, რომელიც აქამდე აფთიაქებში ჩვეულებრივად იყიდებოდა, შეიცვლის სტატუსს და მათი ყიდვა მხოლოდ რეცეპტით გახდება შესაძლებელი. ასეთი მედიკამენტების სიაში მოხვდა პოპულარული ტკივილგამაყუჩებელი „ნიმესილი“. ბევრმა არ იცის „ნიმესილის“ გვერდითი ეფექტების შესახებ და რომ ის სხვა მრავალ ქვეყანაში აკრძალული წამალია.**

დავიწყოთ იქიდან, რომ „ნიმესილი“ ძალიან ძლიერი ტკივილგამაყუჩებელია. მას უნიშნავენ ადამიანებს, რომლებიც ქირურგიული ოპერაციის შემდგომ ტკივილებს განიცდიან ან ძლიერ თავის ტკივილებს უჩივიან. მიუხედავად ამისა, საქართველოში მას მცირე ტკივილის დროსაც იღებენ, რაც ძალიან სახიფათოა, რადგან „ნიმესილი“ უარყოფითად მოქმედებს ღვიძლზე. ხშირმა მოხმარებამ შეიძლება ღვიძლის გადაგვარება გამოიწვიოს, რისი მკურნალობაც მხოლოდ ორგანოს შეცვლით შეიძლება. 2007 წელს ევროპულმა მედიცინის სააგენტომ ჩაატარა ექსპერიმენტი და აღმოაჩინა, რომ ადამიანებს, რომლებიც „ნიმესულიდის“ შემცველ მედიკამენტებს იღებდნენ, უყალიბდებოდათ კუჭ-ნაწლავური სისხლდენა და მუცლის წყლული. „ნიმესულიდი“ აგრეთვე მკაცრად არის აკრძალული ორსულების, მეძუძური ქალების, თინეიჯერების და ასთმის მქონე ადამიანებისთვის.




სწორედ ამის გამო მრავალ ქვეყანაში „ნიმესულიდი“ აკრძალულია. მისი გაყიდვა ყოველთვის აკრძალული იყო ამერიკაში, კანადაში და ავსტრალიაში. ქვეყნებში, სადაც მისი გაყიდვა ხდებოდა (ფინეთი, ესპანეთი, თურქეთი, ინდოეთი), მედიკამენტი მას შემდეგ აიკრძალა, რაც რამდენიმე ადამიანი ღვიძლის დაზიანების შედეგად გარდაიცვალა. პორტუგალიასა და ისრაელში 1999 წელს აიკრძალა, მას შემდეგ, რაც რამდენიმე ბავშვი გარდაიცვალა. შვეიცარიაში, ქვეყანაში, რომელიც აწარმოებს „ნიმესულიდს“, ბავშვებისთვის მისი მიცემა ყოველთვის აკრძალული იყო. პრეპარატი ასევე მკაცრად არის აკრძალული უკრაინაში და ბევრი რუსული ფარმაცევტული კომპანია მას არ ყიდის.

არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო წამლები, რომელთა შორის „ნიმესილიც“ შედის, მიჩნეულია სარისკო მედიკამენტებად. მთლიანი ჯგუფიდან მხოლოდ „იბუპროფენი“, „ნაპროქსენის სოდიუმი“ და „ასპირინი“ არის გაყიდვაში რეცეპტის გარეშე. დანარჩენები, რომლებიც შეიცავენ „ოქსაპროზინს“, „დიკლოფენაკსა“ და „ინდომეტაცინს“, მხოლოდ რეცეპტით გაიცემა.

მაგრამ რა უნდა ქნას ადამიანმა, რომელსაც ტკივილი ტანჯავს და დრო არა აქვს ექიმთან მისასვლელად? პასუხი შემდეგია: ტკივილგამაყუჩებლები, რომლებიც „პარაცეტამოლს“ და „იბუპროფენს“ შეიცავს, უსაფრთხოდ ითვლება და რეცეპტის გარეშე გაიცემა. ტკივილგამაყუჩებლებს, რომლებიც ანალგეტიკებს შეიცავენ, არასასურველი და სახიფათო გვერდითი ეფექტები აქვთ და მკურნალი ექიმის ნებართვის გარეშე არ იყიდება. ყოველთვის გაარკვიეთ, რა შემცველობა აქვს ტკივილგამაყუჩებელს, სანამ შეიძენთ.

mshoblebi.ge

ამერ-იმერში

## იაშვილის კლინიკის ექიმებმა მუშაობა განაახლეს

**ერთთვიანი დაგვიანებით ხელფასის აღება სიახლე არ არის და ეს წლებია, ასე ხდება, — ამის შესახებ ჟურნალისტებს იაშვილის კლინიკის ცენტრალური საავადმყოფოს ხელმძღვანელმა შოთა ჯოგლიძემ განუცხადა.**

**ჯანდაცვის სამინისტრო კლინიკისთვის შესრულებული სამუშაოს დამუშავების შემდეგ ანაზღაურებს ხელფასებს, რის შემდეგადაც ირიცხება თანხები. მისივე თქმით, ამ თვეში ხელფასმა მხოლოდ ორი დღით დაიგვიანა და ნაცვლად 10 ნოემბრისა მათ ხელფასი 12 ნოემბერს ჩაერიცხათ.**

**„ამ თვეში ხელფასი დაგვიანდა მხოლოდ ორი დღე. ზოგადად ექიმებს ხელფასი 10 რიცხვში ერიცხებათ. ამჟამად ექიმებს ჩაერიცხათ სექტემბრის ხელფასი, თუმცა ეს სიახლე არ არის, იქიდან გამომდინარე, რომ ჯანდაცვის სამინისტრო სამუშაოს ანაზღაურებს შესრულებული სამუშაოს დამუშავების შემდეგ, ანაზღაურებაც შემდეგ ირიცხება. ზუსტად ერთთვიანი დაგვიანებით ირიცხება ანაზღაურება და ეს სიახლე არ არის. 10 წელია, ექიმები ხელფასს ასე იღებენ“, - განაცხადა შოთა ჯოგლიძემ.**

**მისივე თქმით, რამ გამოიწვია ექიმების პროტესტი, მისთვის გაუგებარია, რადგანაც ხელფასის დაგვიანება მხოლოდ ორი დღით მოხდა. იაშვილის კლინიკის გაფიცული ექიმების თქმით კი, მათ ხელფასთან დაკავშირებით პრობლემები კომპანია „ევექსის“ იაშვილის კლინიკაში შესვლის შემდეგ შეექმნათ. თუმცა კლინიკის ხელმძღვანელმა ეს ინფორმაცია უარყო.**

## ზარზმაში სერაპიონ ზარზმელის ხსენების დღე აღნიშნეს



**ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმაში, ისტორიული მოღვაწისა და საეკლესიო აღმშენებლის, სერაპიონ ზარზმელის ხსენების დღე აღნიშნეს.**

**11 ნოემბერს „ზარზმობას“ ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან ჩასული საერო და სასულიერო პირები ესწრებოდნენ. წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში საზეიმო წირვა ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიის მიტროპოლიტმა, მეუფე სერაფიმემ, ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის მიტროპოლიტმა მეუფე ნიკოლოზმა და ახალქალაქის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა, მეუფე თეოდორემ სპეციალურად ამ დღისთვის ერთობლივად აღავლინეს.**

**მონასტრის ტერიტორიაზე შეკრებილ სტუმართათვის კულტურული ღონისძიება გაიმართა, სადაც რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძემ მათ დღესასწაული მიულოცა.**

ეს კარგია!

## სამინისტრომ ცხრა დევნილ ოჯახს „მეტრა ვარკეთილში“ ბინები შეუძინა

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ თბილისში, ჭავჭავაძის №49 ბ-ში მცხოვრები ცხრა დევნილი ოჯახისათვის საცხოვრებელ კომპლექს „მეტრა ვარკეთილში“ კერძო კომპანიის თანადაფინანსებით ბინები შეიძინა.**

**დევნილ ოჯახებს ახალი ბინის გასაღებები მინისტრმა სოზარ სუბარმა და სამშენებლო კომპანია „მეტრას“ დირექტორმა ნატალია გლინსკაიამ გადასცეს.**

**„ჭავჭავაძის №49 ბ-ში არსებული შენობა, სადაც ცხრა დევნილი ოჯახი მძიმე პირობებში ცხოვრობდა, „მეტრა დეველოპმენტის“ საკუთრებას წარმოადგენს. აღნიშნულ ობიექტზე კომპანია ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს. შესაბამისად, დღის წესრიგში დევნილების გაყვანის და მათი შემდგომი გრძელვადიანი განსახლების პრობლემა დადგა. სამინისტროსა და „მეტრა დეველოპმენტს“ შორის მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა, რომ აღნიშნული ცხრა ოჯახი თბილისში, ვარკეთილში თანამედროვე სტანდარტებით აგებულ კორპუსში ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდეს. დევნილი ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართების შესყიდვა თანადაფინანსებით მოხდა — 85% კომპანიამ, ხოლო 15% დევნილთა და განსახლების სამინისტრომ დაფარა“, — ნათქვამია განცხადებაში.**

**საცხოვრებელი კომპლექსი „მეტრა ვარკეთილში“ მოიცავს შემოღობილ ტერიტორიას გამწვანებული ეზოთი და საბავშვო მოედნით.**

რეკლამა
29 3-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

ჩვენი კარაბადინი

# ასთმის გასაღები

**ბრონქიალური ასთმით ამჟამად დედამიწის ზრდასრული მოსახლეობის 5 და ბავშვების თითქმის 10 პროცენტია დაავადებული და ეს ციფრები დღითი დღე იზრდება.**

ამ სნეულების უპირველესი მიზეზი მემკვიდრეობითი მიდრეკილებაა. დიდი ხანია, ცნობილია, რომ ასთმით დაავადების საშიშროება სამჯერ მატულობს, თუკი ერთ-ერთი მშობელი უჩივის ამ დაავადებას. მეტიც: ეს რისკი ექვსჯერ იზრდება, თუკი ასთმა ორივე მშობელს აქვს!

სამწუხაროდ, **უკვე ჩამოყალიბებული დაავადების განკურნება შეუძლებელია,** მაგრამ, სამაგიეროდ, პაციენტთა უმრავლესობაში ასთმის ეფექტიანად გაკონტროლება ინგალაციებით შეიძლება. ასევე მნიშვნელოვანია ბრონქების გამფართოებელი პრეპარატები, რომლებიც უჯრედოვან და მოლეკულურ დონეზე იმუნური უჯრედებისა და ბრონქოსპაზმის გამომწვევ ნივთიერებათა გამოყოფის გაკონტროლების შესაძლებლობას იძლევა. მკურნალობას დიდი და საშუალო დოზებით იწყებენ, ხოლო როცა მდგომარეობა უმჯობესდება, დოზებს ამცირებენ, თუმცა წამალზე საერთოდ უარის თქმა არ შეიძლება.

ისიც ხდება ხოლმე, რომ წამლების მიღებას არასასურველი თანმდევი მოვლენები ახლავს, მათ შორის, **ხველება, ხმის ჩახლეჩა, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის რძიანა და სხვ. მაგრამ ამ პრობლემების პრევენცია თავისუფლად შეიძლება ყოველი ინგალაციის შემდეგ პირში სოდის სუსტი ხსნარის, ანდა სულაც უბრალოდ თბილი წყლის გამოვლებით.**

ბრონქიალური ასთმის წამლების თერაპიაში კიდევ ერთი მიმართულებაა იმუნოგლობულინ E-ს გამომუშავების კონტროლი. ეს უმნიშვნელოვანესი დამცველი ნივთიერებაა, რომლის დანიშნულება ინფექციების მიმართ ორგანიზმის მდგრადობის გაძლიერებაა, თუმცა კი მისი სიჭარბე ასთმას იწვევს. ამდენად, ზედმეტ იმუნოგლობულინ E-ს ორგანიზმს ეგრეთ წოდებული მონოკლანური ანტისხეულების მეშვეობით აცილებენ — ესენია მის „თარგზე“ მორგებული ცილები, რომლებიც მის გამომუშავებას ბლოკავენ. არსებობს კიდევ ანტიალერგიული ვაქცინების შექმნის გზა, რომლებიც იმუნოგლობულინ E-სა და ალერგიულ პროცესებში მონაწილე სხვა ნივთიერებების გამომუშავებას ამცირებენ.

ზოგიერთ შემთხვევაში ასთმის მკურნალობისას კარგ შედეგს იძლევა ლაზერული თერაპია, რომლის დროს პაციენტს ვენების შიგნით სისხლის უჯრედებს უსხივებენ, რაც ავადმყოფის იმუნური სისტემის ნორმალიზებას და ბრონქების სპაზმების დონის დაქვეითებას იწვევს. მათ ქოშინი, ტუჩების სილურჯე გასდით, აქტიურად გამოეყოფათ ნახველი, სუნთქვა უადვილდებათ.



მაგრამ, **ბრონქიალური ასთმის წარმატებული თერაპიისთვის აუცილებლად საჭიროა ავადმყოფობის განვითარებაში მონაწილე ალერგენების მოშორება.** ამის გაკეთება საკმაოდ ადვილია, როცა საქმე ეხება შინაურ ცხოველთა ბეწვზე, კვების პროდუქტზე ან სამკურნალო პრეპარატზე ალერგიას. მიღებულ ზომებს ასეთ შემთხვევებში ავადმყოფის მდგომარეობის გაუმჯობესება მოყვება.

ამასთან, **გაცილებით ხშირად, ასთმის განვითარება სისხლის მტვრის მიკროსკოპულ ტკიპებს უკავშირდება,** რომელთა რიცხოვნობის შემცირება გაწმენდის მაღალი დონის მქონე თანამედროვე მტვერსასრუტების გამოყენებით და რეგულარული სველი გაწმენდის მეშვეობით შეიძლება. არსებობს სპეციალური, არაალერგენური ლოგინის თეთრეული და მტვრის ტკიპების საწინააღმდეგო საშუალებები.

ხოლო თუკი ბრონქიალური ასთმის გამომწვევი მიზეზია აყვავებულ მცენარეთა მტვერი, მაშინ ფანჯრებზე საგანგებო ბადეების დაყენება მოგიწევთ, რომლებიც ყვავილობის დროს ოთახში მცენარეთა მტვერს მაქსიმალურად შეამცირებენ.

ასევე დიდად მნიშვნელოვანია საცხოვრისში ობთან. ბრძოლა.

**მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ**

### ინფორმაცია თემაში

**მეტად მნიშვნელოვანია ბრონქიალური ასთმის რაც შეიძლება ადრეულ სტადიაზე გამოვლენა. უნდა დაგაეჭვოთ, თუკი გაციების შემდეგ ხმაში ხრინწი, ქოშინი და მკერდის არეში სიმძიმის გრძნობა დაგრჩათ. ამ დროს ხველა დღისით არ გაწუხებთ, მაგრამ ღამე ან ადრე დილით გიტყდებათ.**

**ხშირად, ასეთ დროს ადამიანმა არ იცის, რომ ორგანიზმში „სტარტი აიღო“ ასთმამ. მაგრამ, ასეთი, არც თუ დიდად გამოკვეთილი ნიშნები მოწმობენ, რომ ბრონქებში ობსტრუქცია — ჰაერის ნორმალური გავლის გაძნელების პროცესი — ვითარდება. თავდაპირველად ასეთი მდგომარეობა შექცევადია, მან, შესაძლოა, თავისითაც გაიაროს, ანდა მკურნალობას დაექვემდებაროს. მაგრამ, თუ ანთებითი პროცესი გრძელდება, ავადმყოფი კი საჭირო ზომებს არ მიმართავს, მას სასუნთქი გზების ჭარბი გრძნობადობა უვითარდება, რაც სიცივეზე, ბოლზე, სტრესზე, ფიზიკურ დატვირთვაზე, მრავალ სხვა ალერგენურ ფაქტორზე რეაქციის გამძაფრებაში გამოიხატება.**

ძაღლსა სცემდნენ, რძალს ასმენდნენო...

# მილორად პავიჩი
# „სერბია, სერბთა ქვეყანა“



**მსოფლიოში სახელგანთქმული რომანის „ხაზარული სიტყვისკონის“ ავტორი მილორად პავიჩი უწინარესად პოეტია. პროზაულ ქმნილებებამდე მან რამდენიმე პოეტური კრებული გამოაქვეყნა, რომელთა მთავარი გმირი სერბიაა, თავისი წარსულითა და აწმყოთი.**

**პატარა ქვეყნები მარტო სიპატარავით კი არა, ისტორიული ბედითაც ჰგვანან ერთმანეთს. ძალიან ხშირად აწმყოც ერთნაირი აქვთ. მუდამ გველეშაპის ხახაში თუ არა, ამ ხახის შორიახლო უწევთ შიშნარევი ცხოვრება. მით უმეტეს, თუ ასეთი ხახა ორია ანდა ორზე მეტი. ასეთ პირობებში ცხოვრებას კი, ბუნებრივია, თავგზააბნეულობა ახლავს, რაც სამშობლოს ბედ-იღბალზე დაფიქრებულ შემოქმედ ადამიანებს არცთუ იშვიათად ირონიული ბრძოლის ხასიათზე აყენებს, რადგან სხვა რამ „ცივი“ და „ცხელი“ იარაღის გამოყენება მაინცდამაინც არ ეილბლებათ. განა ამ ხასიათზე არ იყო ილია ჭავჭავაძე, როცა „ბედნიერ ერს“ წერდა?! ჩანს, ამავე ხასიათზე ყოფნისას დაწერა მილორად პავიჩმაც „სერბია, სერბთა ქვეყანა“, რომელსაც ქართულად გადმოღებულს ვთავაზობ ჩვენს მკითხველს და იმედი მაქვს, რომ ზოგი რამ ჩვენისად ენიშნება კიდეც.**

**გურამ გოგიაშვილი**

სანამ წერტილს არ დავუსვამთ
ამ ჩვენებურ ზღაპრობანას;
სანამ მთავარ ხელობად გვაქვს
წყლის ნაყვა და ლაყბობანა;
სანამ აგრე გადავყვებით
ქუჩა-ქუჩა დახლობანას;
სანამ ყველას შავ ჭირად გვჭირს
ყველაფერში დამპლობანა;
სანამ სხვათა ბჟუტი ჭრაქი
ბნელში გვიწევს ლამპრობანას;
სანამ დროშებს ვაფრიალებთ
და ვთამაშობთ სახლობანას:
მაღალ კაცთა დაბლობანას
და დაბალთა მაღლობანას;
სულ იქნება ქვეყანაში
ცუდაკაცთა საქმობანა;
სულ იქნება ქვეყანაში
სიზანტე და საპყრობანა;
სულ იქნება გამუდმებით
ამ მიწა-წყლის დაპყრობანა;
ჩვენი ერთად დაკნინება,
დამცირება, დამცრობანა
მეტი რაღა დაგვრჩენია?
ერთი მარტო გართობანა;
უკაცობის ქვეყანაში
უკაცობის კაცობანა;
ხან თვალების დაბრმავება,
ხან ყურების დაცობანა,
და მომხდურის მოსაწონად
ქლესაობა, ანცობანა...
რას გვიქვია დაკნინება
და თუ გინდა დამცრობანა,
თუ სიდედლე გადაგვარჩენს,
რას დავეძებთ ვაცობანას!
მაშ წერტილსაც ნუ დავუსვამთ
ამ ჩვენებურ ზღაპრობანას;
ძველებურად ვიჩაქჩაქოთ,
არას გვარგებს ახლობანა,
ისევ ისე გავაგრძელოთ
წყლის ნაყვა და ლაყბობანა;
დღემდე ბევრჯერ
დაპყრობილებს
დღეს რას გვიზამს
დაპყრობანა?!...

სიბრძნე

# „მიჩვენეთ ჯანმრთელი ადამიანი და მე მას განვკურნავ“

## იუნგის 29 მოსწრებული გამონათქვამი

**ადამიანი** ცხოველია, რომელიც ჭკუიდან შეიშალა და ახლა ან ისევ ცხოველურ ბუნებას უნდა დაუბრუნდეს, ან გახდეს იმაზე მეტი, ვიდრე ადამიანია.

**ჩვენ** ვიბადებით გარკვეულ დროს, გარკვეულ ადგილზე და როგორც ღვინოს, ჩვენც გვაქვს იმ ადგილის და სეზონის ხასიათი, რომელშიც დავიბადეთ.

**როცა** ქვეცნობიერი მართავს ცნობიერს, ის მართავს ჩვენს ცხოვრებას და ჩვენ მას ვუწოდებთ ბედისწერას.

**ჩვენ** არ უნდა ვიყოთ ის, რაც დაგვემართა, ჩვენ უნდა ვიყოთ ის, ვისაც ავირჩევთ რომ ვიყოთ.

**ადამიანები** ყოველგვარ სისულელეს ჩაიდენენ, რამდენადაც აბსურდული არ უნდა იყოს, ოღონდაც თვალი არ გაუსწორონ საკუთარ სულს.

**შენ** არ ხარ ის, რასაც ფიქრობ ან ამბობ, შენ ხარ ის, რასაც აკეთებ.

**ყველაფერი**, რასაც ჩვენ საკუთარ თავში უარვყოფთ, ჩვენს ცხოვრებაში ჩნდება როგორც მოვლენა.

**მიჩვენეთ** ჯანმრთელი ადამიანი და მე მას განვკურნავ.

**ყველაფერი**, რაც სხვებში გვაღიზიანებს, საკუთარი თავის გაგებაში გვეხმარება.

**ჩვენ** დაგვავიწყდა ის უძველესი ფაქტი, რომ ღმერთი ადამიანებს სიზმრების და წარმოსახვების მეშვეობით ელაპარაკება.

**თუკი** თქვენი ცხოვრების გზა ნათელია, ესე იგი სხვის გზაზე დგახართ.

**საკუთარი** თავის ბნელი მხარეების ცოდნა სხვა ადამიანების ბნელ მხარეებთან გამკლავებაში გვეხმარება.

**ორი** პიროვნების შეხვედრა ქიმიური ნივთიერებების კონტაქტს ჰგავს, თუკი რეაქციაში შევიდნენ ერთმანეთთან, ორივე ტრანსფორმირდება.

**სიტყვა** ბედნიერებაც კი დაკარგავდა თავის მნიშვნელობას, თუკი არ იარსებებდა სევდა.

**რასაც** არ უნდა ვუყურებდეთ და როგორც არ უნდა ვუყურებდეთ, საკუთარი თვალებით ვუყურებთ.

**ვინც** გარეთ იყურება, ოცნებობს, ვინც შიგნით — იღვიძებს.

**ყველა** ფორმის დამოკიდებულება ერთნაირად ცუდია, მნიშვნელობა არ აქვს ნარკოტიკული საშუალება ალკოჰოლია, მორფინი, თუ იდეალიზმი.

**ერთი** ფეხსაცმელი ერთს არგია, მეორეს კი — არა. არ არსებობს რეცეპტი, რომელიც ყველა ადამიანს მოერგება.

**ყოველგვარ** ქაოსში კოსმოსია, ყველა არეულობაში — საიდუმლო წესრიგი.

**რაც** არ უნდა დაარქვათ არსებობის საფუძველს: ღმერთი, ენერგია თუ რამე სხვა, ახალს ვერაფერს იტყვით. უბრალოდ, სიმბოლოებს ცვლით.



**შეუძლებელია** სამყაროს გააზრება მხოლოდ ინტელექტით. ინტელექტუალური მსჯელობა ჭეშმარიტების მხოლოდ ნაწილია.

**ჯანმრთელი** ადამიანი არასოდეს აწამებს სხვებს, ეს ნაწამები იქცევა ხოლმე მწვალებლად.

**გონების** ქანქარა უაზრობასა და აზრიანს შორის მერყეობს და არა სწორსა და არასწორს შორის.

**მოცემულობა** რომ შეცვალო, ჯერ უნდა მიიღო ეს მოცემულობა.

**სადაც** სიყვარული ბატონობს, იქ ძალაუფლების სურვილი არ ჩნდება და პირიქით, სადაც ძალაუფლების სურვილი მძლავრობს, იქ სიყვარული ქრება.

**სირცხვილი** სულის ცოცხლად მჭამელი ემოციაა.

**ყველაფერი** იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ვხედავთ ჩვენ საგნებს და არა იმაზე, თუ როგორები არიან ისინი სინამდვილეში. ყველაზე დიდი საქმე, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ, სხვა ადამიანებზე, საგნებსა და მოვლენებზე საკუთარი პროექციის მოშორებაა.

**თუკი** ადამიანი ვერ იგებს რას ეუბნებით, ის საკუთარ თავს კი არა, თქვენ ჩაგთვლით სულელად.

**ფიქრი** ძალიან რთულია, ამიტომ ადამიანების უმრავლესობა განსჯის!

## ცინცხალი ანეკდოტები

— **ბატონო**, თქვენ გურული ბრძანდებით?
— პირიქით, ბატონო, მე მეგრელი ვარ.

* * *

**ორი** გურული შეხვდა ერთმანეთს.
— როგორა ხარ?
— გადასარევად! შენ?
— მე გადავირიე უკვე!

* * *

**მამა-შვილი** კახელები წვანან. სხვენში თაგვს კაკალი უპოვია და დააგორებს აქეთ-იქით.
— ადი, ბიჯო, გაუტეხე ი კაკალი, თორე არ დაგვაძინებს ამაღამ ეგ შობელძაღლი! — ეუბნება მამა შვილს:

* * *

— **ქალისა** ორი რამ მიყვარს!
— რა?
— ძუძუები.

* * *

**მეგრელს** უთხრეს, სპილო გაქცეულა ზოოპარკიდან და დასაჭერად დასდევენო.
— ხოხ! რას დაიჭერენ ეგენი მაგხელა სპილოს!



მერე გაიგო, დაუჭერიათო.
— ხოხ!, აბა, სად გაიქცეოდა მაგხელა სპილო!

* * *

**სვანები** ლიფტში გაიჭედნენ. ცხელა, შეწუხდნენ.
— უჰ, კარი მაინც იყოს ღია, ცოტა ჰაერი შემოვიდოდა, — თქვა ერთმა.

* * *

**გულთბილი** შეხვედრა:
— რავა ხართ, აფრასიონ!
— რაფრაც გაგეხარდება!
— რავა, ამოწყდით?

* * *

— **როგორა** ხარ, მოშე?
— ვერ მოესწრები, — ჩაიბურდღუნა მოშემ.

* * *

**პაციენტმა** ექიმთან ანალიზების პასუხი შეიტანა.
— რამდენი წლისა ხარ?
— სამ თვეში ორმოცის გავხდები.
ექიმი ანალიზებს კითხულობს:
— ჩემს ფეხებს გახდები!

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“
გრ. რობაქიძის №7

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე